მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი, რომლის მატჩები თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს. ტრიბუნები სავსეა სპორტის მოყვარულებით.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — სამხრეთ ოსეთისა და გორის გუნდების შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — თამაშობენ თბილისის ნაკრები და „ავაზა". მიშა მესხმა (თეთრ მაისურში) თავისი მამის ცნობილი ფინტი გაუკეთა მეტოქეს და წამის მერე ზურგს უკან იტოვებს მას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ფინალში: თბილისი — აფხაზეთი

გუშინ სპორტის სასახლეში გრძელდებოდა ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი. მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: ფოთი — აჭარა 6:1, აფხაზეთი — ქუთაისი 1:1, გორი — თბილისი 2:0, სამხრეთ ოსეთი — „ავაზა" 2:1.

I ქვეჯგუფში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: აფხაზეთი, ფოთი, ქუთაისი, აჭარა; II ქვეჯგუფში: თბილისი, სამხრეთ ოსეთი, „ავაზა", გორი.

დღეს სპორტის სასახლეში 16 საათიდან შედგება გადამწყვეტი მატჩები. I ადგილისთვის იბრძოლებენ თბილისისა და აფხაზეთის ფეხბურთელები, ხოლო მომდევნო ადგილებისთვის: ფოთი — სამხრეთ ოსეთი, ქუთაისი — „ავაზა", აჭარა — გორი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1973 წ. № 64 (4834) 1 აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან


## [გ]ამარჯვებულნი [და]ჯილდოვდნენ

[თ]ბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო [კლუბ]ში, საგაზაფხულო არდადეგების [დრო]ში ჩატარდა მოსწავლეთა რესპუ[ბლიკუ]რი გუნდური პირველობა ჭად[რაკში]. ტურნირი, რომელიც შვეიცა[რიული] სისტემით (7 ტური) გაიმარ[თა], გუშინწინ დამთავრდა.

[გთ]ავაზობთ გუნდურ შედეგებს: [თბ]ილისი — 23 ქულა, აჭარა — 20, [...] — 19,5, აფხაზეთი, ქუთაისი — [...], ცხაკაია — 18,5, ზუგდიდი — [...]ხაშური — 15,5, სამხრეთ ოსეთი, [...]ული, სამტრედია — 15-15, რუ[სთავ]ი, წალენჯიხა — 14,5-14,5, გო[რის] რაიონი — 14, ახმეტა, ჭიათურა, [...]დეხი — 13-13, ჩხოროწყუ, მა[...], ყვარელი — 12,5-12,5, გარ[დაბან]ი — 12, თელავი — 11,5, ამ[ბრო]ლაური, მაიაკოვსკი — 11-11, ხო[ნი, ზ]უგდიდის რაიონი — 8-8, კასპი [...], ფოთი — 7.

[ცალკე]ულ ჩათვლაში უძლიერესნი აღ[მოჩ]ნდნენ: I დაფაზე — გ. მისაბიშვი[ლი] (აფხაზეთი), ს. კაპანაძე (გორი) [—] 6 ქულა, ზ. თანდაშვილი (თბი[ლისი]) — 5,5; II დაფაზე — თ. ვა[...]ძე (ბათუმი), ზ. ყანჩაველი ([თბ]ილისი) — 6-6, ზ. ტოგონიძე ([...]), გ. ყველაშვილი (გორი) — [...] III დაფაზე — ს. გაბუნია ([ქუთ]აისი), ს. მდივნიშვილი (თბილი[სი] [...] თ. კინწურაშვილი (ცხაკაია) — [...]5,5; IV დაფაზე (გოგონები) — [...] ჩერჩილაძე (თბილისი) — 6, კ. [...]ძე (აფხაზეთი), ნ. მჟავანაძე ([ქუთ]აისი), გ. ნემსაძე (ზუგდიდი) [—] 5-5.

[გუ]შინ პირველობა საზეიმოდ დაი[ხურ]ა. გამარჯვებულები სიგელებით [და]ჯილდოვდნენ.

**[ჭ]ადრაკი**

## [მ]აჭარაშვილი — [ჩემპი]ონი... [ქ]ულა

[...]ბილისის მოჭადრაკე ვაჟთა დასკვ[ნით]ი, XVII ტურის წინ გადადებული [პარ]ტიების დამთავრებისას გ. მაჭა[რაშ]ვილ — ზ. სტურუას შეხვედრა ყა[იმი]თ დამთავრდა.

[და]სკვნითს ტურში მაჭარაშვილმა [მოუგ]ო ე. აფრიდონიძეს და 12 ქულით [დედ]აქალაქის ჩემპიონის სახელი დაი[მკვიდ]რა. II ადგილზეა გ. ზაიჩიკი ([...] ქულა), რომელმაც ე. კუშჩიანს [მოუგ]ო.

[...] ჭიპაშვილმა დაამარცხა ნ. ჩახოი[...] ყაიმით დამთავრდა ს. კიკილაშ[ვილი] — გ. ხაილენკოსა და სტურუა — [...]ქაელიანის პარტიები. ორი პარტია [გადაი]დო.

## ასეთია ჩემპიონატის კალენდარი

გუშინ მოსკოვში სტარტი აიღო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატმა შაიბიან ჰოკეიში.

ქვემოთ ვბეჭდავთ გათამაშების კალენდარს.

1 აპრილი. პოლონეთი — შვეცია, გფრ — ფინეთი; 2. შვეცია — ჩეხოსლოვაკია, ფინეთი — სსრ კავშირი; 3. ჩეხოსლოვაკია — გფრ, სსრ კავშირი — პოლონეთი; 4. გფრ — შვეცია, პოლონეთი — ფინეთი; 5. ფინეთი — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი; 6. პოლონეთი — გფრ; 7. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია, შვეცია — სსრ კავშირი; მეორე წრე. 8 აპრილი. პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია, გფრ — სსრ კავშირი; 9. შვეცია — პოლონეთი, ფინეთი — გფრ; 10. ჩეხოსლოვაკია — შვეცია, სსრ კავშირი — ფინეთი; 11. გფრ — ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი — სსრ კავშირი; 12. შვეცია — გფრ, ფინეთი — პოლონეთი; 13. შვეცია — ფინეთი, სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია; 14. გფრ — პოლონეთი; 15. ჩეხოსლოვაკია — ფინეთი, სსრ კავშირი — შვეცია.



სურათებზე: ზემოთ — მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის შაიბები და კვანჯები; აი, ასეთი შაიბებით ითამაშებენ მონაწილე გუნდები.

ნ. იაკოვლევის ფოტო. (საკდეს).



**ცურვა**

## იმარჯვეს „ტრუდის" სპორტსმენებმა

რიგასა და ჩელიაბინსკში დამთავრდა მოცურავეთა შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ლატვიის დედაქალაქში ასპარეზობდნენ ქალები, ჩელიაბინსკში — ვაჟები. რიგის „დაუგავას" საცურაო აუზში მონაწილეებმა 5 საკავშირო რეკორდი დაამყარეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ნორილსკელმა ე. ბურმენსკაიამ, რომლის წილადაც ორი საკავშირო მიღწევა მოდის. მან ამერიკელ ჯ. ვუდკოკთან მძაფრ ორთაბრძოლაში რეკორდები დაამყარა 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. 400 მეტრზე ნაჩვენებ შედეგზე ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, 800 მეტრზე კი მან 9.07,59 აჩვენა. ბატერფლაის სტილით ორივე დისტანციაზე ტოლი არ ჰყავდა ლენინგრადელ მოცურავე ქალს ა. მეერზონს. 200 მეტრზე მან ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა და შემდეგ 100 მეტრზე შეჯიბრებაც მოიგო (ახალი საკავშირო რეკორდით) — 1.06,23.

ჩელიაბინსკში თავი გამოიჩინა მიუნჰენის ოლიმპიადის პრიზიორმა, მოსკოველმა ვ. ბურემ, რომელმაც ორი რეკორდი დაამყარა. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში მისი შედეგია 51,01, 200 მეტრზე — 1.52,2. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 16 წლის ლენინგრადელმა ა. სმირნოვმა ამ მანძილის გავლას 2.08,2 მოანდომა და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. წარმატებით იასპარეზეს ჭაბუკმა სპორტსმენებმა. 13 წლის აშხაბადელმა მოსწავლემ ვ. პარინოვმა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა, როცა თავისუფალი სტილით 200 მეტრზე 2.04,6 აჩვენა. ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარეს, აგრეთვე, ს. ზისტრიცკიმ (ვორონეჟი), ლ. დრაგუნოვმა (კიევი) და ა. მანიჩინსკიმ (ხარკოვი).

ორივე ქალაქში გამართული შეჯიბრებების შედეგების შეჯამების შემდეგ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზი „ტრუდის" სპორტსმენებმა მოიხვეჭეს.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**უმაღლესი ლიგა**

## ორი ტურით ადრე

მინსკი, 30 მარტი. კალათბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე მე-40 საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის დღევანდელი მატჩები ასე დამთავრდა:

ცსკა — ასკ (კიევი) 86:77.

ამ გამარჯვებით არმიელები დანარჩენი გუნდებისთვის მიუწვდომელი გახდნენ და ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ოქროს მედლებს დაეპატრონენ.

რტი (მინსკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 73:71.

„დინამო" (მოსკოვი) — „ავტომობილისტი" (ვოროშილოვგრადი) 96:66.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 23 | 2 | 2227—1808 | 23 |
| „სპარტ." | 25 | 19 | 6 | 1956—1787 | 19 |
| „ქალგირ." | 25 | 16 | 9 | 1866—1805 | 16 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 25 | 15 | 10 | 1854—1804 | 15 |
| „დინამო" (თბ.) | 25 | 12 | 13 | 1830—1852 | 12 |
| „სტროიტ." | 25 | 11 | 14 | 1815—1873 | 11 |
| რტი | 25 | 9 | 16 | 1792—1926 | 9 |
| „კალევი" | 25 | 8 | 17 | 1702—1793 | 8 |
| ასკ | 25 | 8 | 17 | 1667—1776 | 8 |
| „ავტომ." | 25 | 4 | 21 | 1732—2017 | 4 |

## ფინალში გავიდნენ

ბადმინტონის ნერგი იხარებს ქართულ მიწაზე, — მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეეძლოთ ახლახან თბილისის 26 კომისრის რაიონის სპორტულ დარბაზში შეკრებილ მაყურებლებს, რომლებიც საკავშირო ზონალურ პირველობას დაესწრნენ.

მართლაც, წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოასპარეზე გუნდებიდან თბილისის ზონაში ბადმინტონისტთა საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ექვსი გუნდიდან (ყაზახეთი, რსფსრ, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, საქართველო) საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპზე (შეჯიბრება ჩატარდება გორკში 7-10 ივლისს) თამაშის უფლება გოგონათა და ჭაბუკთა მხოლოდ ორ-ორ კოლექტივს ეძლეოდა. ამან ბრძოლა თავიდანვე დაძაბა.

სპეციალისტთა პროგნოზების მიხედვით, ერთი ფინალისტის ვინაობის საკითხი როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შეჯიბრებაში გადაწყვეტილი იყო. ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან რსფსრ-ს ნაკრების ღირსებას იცავდნენ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ნ. ლიტვინჩევა და მოზარდთა შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ვ. რამილცევა. კარგი იყო რსფსრ-ს ჭაბუკთა გუნდიც. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გამოიყვანეს ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის კოლექტივებმა, რომლებსაც დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვთ.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იშვიათად ახერხებენ შეჯიბრებებში მონაწილეობას და მათი გვარები (რ. ოკინაშვილის გარდა), რა თქმა უნდა ბევრის მაუწყებელი არ იყო მეტოქეებისთვის.

ჩვენდა სასიხარულოდ, საქართველოს ბადმინტონისტმა გოგონებმა და ჭაბუკებმა ამ შეჯიბრებაში მთლიანად გამოავლინეს სპორტული თამაშებისთვის ესოდენ საჭირო სამხრეთული ტემპერამენტი და დამსახურებულად გაიკაფეს გზა ფინალისკენ. ამასთან, თუ თბილისელი ოკინაშვილისა და სოხუმელი ტ. ნიკიტინას დუეტმა მიზანს დაუმარცხებლად მიაღწია, იგივე მანძილის გავლა ძალის უკიდურესი დაძაბვის ფასად მოუხდა ვაჟთა გუნდს, რომელმაც ფინალში გასვლის უფლება ყაზახეთის გუნდთან წყვილთა შეხვედრაში გამარჯვებით მოიპოვა.

გ. სამსონაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# SOS!

რედაქციაში კვლავ მოდის წერილები. სოფლის ახალგაზრდები ჩივიან, რომ თავკაცები სპორტს უგულებელყოფენ, არ ზრუნავენ მოედნების კეთილმოწყობისთვის, არ იძენენ სპორტინვენტარს და სხვ. რედაქციას ამჯერადაც სამსჯავროზე გამოაქვს გაზეთის მკითხველთა გულისტკივილი:

**წერილი პირველი** (გვწერენ გორის რაიონის სოფელ დიცის ახალგაზრდები): „თავის დროზე სოფელში ფეხბურთის მინდორი გვქონდა. მაინცდამაინც კეთილმოწყობილი არ იყო, მაგრამ სამსახურს მაინც გვიწევდა. შემდეგ ძელები დაძველდა და, როცა მათი შეკეთება მოვითხოვეთ, მინდორი სულაც გადაგვიხნეს. გთხოვთ დაგვეხმაროთ".

**წერილი მეორე** (საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის მცხოვრები თ. ტაველიშვილი): „ამ შვიდი-რვა წლის წინ გაცნობეთ, რომ სოფელში უბრალო სპორტმოედანიც კი არ გვქონდა. „ლელომ" უყურადღებოდ არ დატოვა ჩვენი თხოვნა. ნაკვეთი გამოგვიყვეს, მაგრამ მოედნის მოსწორებაზე უარი გვითხრეს. სკოლის მოსწავლეებმა ფული შევაგროვეთ, გრეიდერი ვიქირავეთ და თავად მოვასწორეთ მინდორი. მერე გუნდი დავაკომპლექტეთ და ამხანაგურ შეხვედრებსაც ვაწყობდით. ცოტა ხანში კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულებით მინდორი გადაგვიხნეს. თავმჯდომარე რამდენიმეჯერ დაგვპირდა ახალი ნაკვეთის გამოყოფას, სოფლის ყრილობაზეც კი მოგვცეს სიტყვა, მაგრამ დიდხანს არაფერი გამოვიდა. წლეულს, თებერვალში, როგორც იქნა, ნაკვეთი გამოგვიყვეს, მაგრამ მოედნის მოსწორებაზე არავინ ფიქრობს. ტექნიკით დაგვეხმარონ და ჩვენ თავად ვიმუშავებთ. რაიონში შეჯიბრებები მარტო ჭიდაობაში ტარდება. არც „კოლმეურნის" რაიონული საბჭო იწუხებს თავს სოფლად სპორტის დანერგვისთვის".

**წერილი მესამე** (ზ. ნოზაძე, ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის ახალგაზრდების სახელით): „არც საშუალო სკოლას და არც კოლმეურნეობას არავითარი სპორტული ბაზა და ინვენტარი არა აქვთ. ერთ დროს სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი. რაიონულ შეჯიბრებებშიც საპრიზო ადგილებს ვიკავებდით. 1971 წელს სპორტმოედნებზე ხელი აგვაღებინეს, რადგან ამ ტერიტორიაზე ახალი გზა გაიყვანეს. სამაგიეროდ ნაკვეთის გამოყოფისთვის არავინ იზრუნა. სოფელში სპორტული ცხოვრება თითქმის ჩაკვდა. ქართულ ჭიდაობაში ქსნის ხეობის ტერიტორიულ გუნდურ შეჯიბრებაში ნახერხდაყრილ მოედანზე მაინც I ადგილი დავიკავეთ. ჩოხები არა გვაქვს. არ ვიცით სად ვივარჯიშოთ თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში. როდემდის გაგრძელდება ასე?"

**წერილი მეოთხე** (გ. შალელაშვილი, ფეხბურთელთა გუნდის „სალხინოს" მწვრთნელი): „გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის ცენტრში არსებული ფეხბურთის მინდორი მოუვლელია. ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ მინდორი შემოღობა და მისი მოვლა-პატრონობა კ. კეკელიას დაავალა, რისთვისაც იგი სათანადო გასამრჯელოს იღებს. მაგრამ კეკელიამ საძოვრად გადააქცია ფეხბურთის მინდორი. სპორტსმენთა სარბიელზე ყოველდღე ჯოგია გაშვებული. მეურნეობის დირექციას ბევრჯერ ვთხოვეთ მიეხედა ამ საქმისთვის, მაგრამ პასუხსაც ვერ ვეღირსეთ. მდგომარეობის გამოსწორებისთვის არც რაიონის სპორტკომიტეტი ზრუნავს. გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები".

# თამაშის წესებს თუ დაიცავთ...

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ყოველი გათამაშებული ტირაჟის შემდგომ დღეებში მოდიან იღბლიანები, რომლებსაც სპორტის სახეობებისა და მათი შესაბამისი ციფრების ზუსტად ამოცნობისთვის დიდი მოგებები ხვდათ. მაგრამ ბევრი დაუკვირვებლობით და უყურადღებობით იფუჭებს საქმეს, არ იცავს ზუსტად თამაშის ყველა წესს, რაც ნათლადაა მოცემული ბარათის მეორე გვერდზე, შეცდომებს უშვებს A, Б და В ნაწილების შევსებისას.

რაში გამოიხატება ეს შეცდომები?

ზოგჯერ ბარათის Б და В ნაწილებზე ექვსის მაგიერ შვიდ ან მეტ, ზოგჯერ კი ნაკლებ ნომერს შლიან. რიგი ბარათებისა შესწორებულია, ნომრები ამოშლილია ან ფანქრითაა გადახაზული. არის შემთხვევა, როცა ბარათის ნაწილები ერთმანეთს არ ემთხვევა, გადაშლილი და ჩაწერილია სხვადასხვა ციფრი. ზოგჯერ ბარათის ნაწილს „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთებში უშვებენ, ხოლო Б და В ნაწილებს იტოვებენ. ასე უყურადღებოდ შევსებული ბარათები, ინსტრუქციის თანახმად, ვერ მიიღებს ტირაჟში მონაწილეობას და გაუქმებულად ითვლება.

მაგალითად, „სპორტლოტოს" 1973 წლის გათამაშების მე-8 ტირაჟში საქართველოს ზონალური სამმართველოს დამუშავების განყოფილებაში გაუქმდა 2687 ბარათი. აქედან 1400 ბარათზე არ იყო შევსებული მთლიანად Б და В ნაწილები, 577 ბარათზე ექვსზე მეტი ციფრი იყო გადახაზული, 138 ბარათზე ციფრები ამოშლილი და შესწორებული იყო, ხოლო 125 ფანქრით იყო შევსებული და ა. შ.

„სპორტლოტოს" მრავალრიცხოვან მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ბარათის Б და В ნაწილებზე მელნით ან ბურთულიანი კალმით ზუსტად უნდა გადაიხაზოს ექვსი ნომერი და შესაბამისი ექვსი სახეობა ასეთი ნიშნით: X. ექვსივე ნომერი უნდა ჩაიწეროს A ნაწილზე ექვს ცარიელ კვადრატში. ამის შემდეგ ბარათს აცლით გადასაჭრელ ხაზზე A ნაწილს, ხოლო Б და В ნაწილებს გაუცალკევებლად უშვებთ „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთებში, რომლებიც დადგმულია კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, სპორტული ინვენტარის მაღაზიებში, „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში, „სპორტლოტოს" ბარათების საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან. ყუთებს აქვს ემბლემა — „სპორტლოტო".

არ დაგავიწყდეთ, რომ ქ. თბილისში, „სპორტლოტოს" შევსებული ბარათების ყუთებში ჩაშვების ბოლო ვადაა თვის 8, 18 და 28 რიცხვები, 18 საათამდე, ლენინისა და მარჯანიშვილის სახელობის მოედნებზე მეტროს სადგურებთან მდებარე „სოიუზპეჩატის" ჯიხურებთან დადგმულ მორიგე ყუთებში ბილეთების ჩაშვება შეიძლება თვის 9, 19 და 29 რიცხვების ჩათვლით, 14 საათამდე.

საქართველოს იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც „სპორტლოტოს" ბარათები იყიდება, გათამაშებაში მონაწილეებს ბარათების Б და В ნაწილების „სპორტლოტოს" ყუთებში ჩაშვების ბოლო ვადაა თვის 7, 17 და 27 რიცხვები, 18 საათამდე.

თუ ზუსტად ამოიცნობთ ტირაჟში გათამაშებულ სამ ან ოთხ ნომერს და მათს შესაბამის სპორტის სახეობებს, ბარათის A ნაწილი უნდა წარადგინოთ იმ ქალაქებისა და რაიონების ცენტრალურ ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებში, სადაც იყიდება „სპორტლოტოს" ბარათები. 5 ან 6 ნომრის ამოცნობის დროს ბარათის A ნაწილს პირადად წარადგენთ „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ან გზავნით ფოსტით, ფასიანი წერილით (აღწერილი უნდა იყოს, შიგ რა დევს) შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, 54, ელიავას ქ. № 26, „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო. ბოლომდე შეინახეთ ბარათის A ნაწილი, იგი თქვენი საბუთია მოგებული თანხის მისაღებად. მოგებული თანხა გაიცემა ტირაჟიდან ათი დღის შემდეგ ოცდაათი დღის განმავლობაში ცენტრალურ ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებში „სპორტლოტოს" მოგებათა ოფიციალური ცხრილებით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

არ აჩქარდეთ, მოთმინებითა და თამაშის ყველა წესის დაცვით მიიღეთ მონაწილეობა ყოველ ტირაჟში, ამით თავიდან აიცდენთ შეცდომებს.

**გ. ფაილოძე,**
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

## შეამოწმეთ ბილეთები!

„სპორტლოტოს" მორიგ ტირაჟში იღბლიანი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები: 5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 8 (კრივი), 9 (ჭიდაობა), 22 (ციგურაობა), 25 (თხილამურები, ტრამპლინი).

### სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

## 91 საერთაშორისო ოსტატი ქალი

ფიდე-ს საკლასიფიკაციო კომისიის აღრიცხვაზე 91 საერთაშორისო ოსტატი ქალია. აი, მათი სია:

**ავსტრია** (1) — ს. რაიჰერი.

**აშშ** (4) — მ. ბეინი, გ. გრესერი, მ. კარფი, ლ. ლეინი.

**არგენტინა** (3) — მ. ბერეა დე მონტერო, ს. მოსჩინი, ს. ხიუგე.

**ბრაზილია** (1) — რ. კორდოსო.

**ბულგარეთი** (6) — ვ. ასენოვა, ნ. გეორგიევა, ა. ივანოვა, პ. ტოდოროვა, ე. ტროიანსკა, ე. შიკოვა.

**გდრ** (2) — ე. კელერ-გერმანი, ვ. ნოვარა.

**გფრ** (2) — ჰ. ოქსტი, ფ. რინდერი.

**დანია** (1) — ი. ლარსენი.

**ინგლისი** (5) — რ. ბრიუსი, ე. პრიჩარდი, ჰ. სანოქსი, ე. ტრენმერი, ი. პარტსონი.

**ისრაელი** (1) — კ. ფრიდმანი.

**იტალია** (1) — კ. ზენინი.

**იუგოსლავია** (9) — ტ. ბელამარიჩი, კ. იოვანოვიჩი, რ. იოვანოვიჩი, ლ. იოჩიჩ-ქივკოვიჩი, ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა, მ. ლაზარევიჩი, მ. ლილიაკი, ე. ნედელკოვიჩი, ტ. შტადლერი.

**კუბა** (1) — მ. მორა.

**პოლონეთი** (3) — რ. გერმანოვა, მ. ლიტმანოვიჩი, კ. რაძიკოვსკა.

**რუმინეთი** (8) — გ. ბაუმშტარკი, ს. მაკაი, ა. ნიკოლაუ, მ. პერევოზნიკი, მ. პოგორევიჩი, ე. პოლიქრონიადე, რ. რეიჰერი, მ. ტეოდორესკუ.

**საფრანგეთი** (1) — შ. შოდე დე სილანი.

**სსრ კავშირი** (27) — ნ. ალექსანდრია, ო. ანდრეევა, რ. ბილუნოვა, ე. ბიკოვა, ვ. ბორისენკო, ნ. გაფრინდაშვილი, ი. გურფინკელი, ე. ეპშტეინი, ლ. ვოლპერტი, ტ. ზატულოვსკაია, კ. ზვორიკინა, ო. იგნატიევა, ა. კისლოვა, ვ. კოზლოვსკაია, ნ. კონოპლიოვა, ა. კუშნირი, ი. ლევიტინა, ტ. ლემაჩკო, ნ. მედიანიკოვა, მ. რანიკუ, ს. როოტარე, ე. რუბცოვა, ო. რუბცოვა, ლ. რუდენკო, კ. სკეგინა, მ. შული, ა. ჩაიკოვსკაია.

**უნგრეთი** (8) — ჟ. ვერეცი, მ. ივანკა, ე. კარაკაში, ზ. კერტეში, ე. კრიშანი, ი. ლანგოში, მ. პორუბსკი, კ. ჰონფი.

**ჩეხოსლოვაკია** (4) — ს. ეიკრეალოვა, ნ. გრუშკოვა-ბელსკა, რ. სუხა, კ. ერეტოვა.

**ჩილე** (1) — ბ. კარასკო დე ბუდინიჩი.

**ჰოლანდია** (2) — მ. ვერეკენი, ფ. ჰეემსკერკი.

# ფორმა და შინაარსი

ბაკურიანი. საქართველოს ეს უმშვენიერესი კუთხე, ხასპორტო, სააგარაკო და მართლაც, საარაკო ადგილი. თეთრი ფერი მეფობს ყველგან, ფერი თოვლისა. გამთენიიდან დაღამებამდე ბაკურიანის ფერდობებზე თუ ველებზე, კოხტაგორაზე ახალგაზრდების ჟრიამული ისმის. ვინ თხილამურებით სრიალებს, ვინ ციგით ერთობა, სხეულს იკაჟებენ.

...სასტუმროს დერეფანში ფეხის ხმა მომესმა. ვიღაც უხეშად დააბოტებდა. გამოვედი: მძიმე სამთო-სათხილამურო ფეხსაცმელებში, წითელ ქუდში, ქურთუკში, მწვანე შარვალში გამოწყობილი გოგონა ჩემს წინ მძიმედ მიაბიჯებდა. ცნობისმოყვარეობამ წამძლია, წამოვეწიე, გავუსწორდი, გავუსწარი, უკან მოვიხედე. თვალი მომჭრა თხილამურებზე, ტანსაცმელზე, ქუდსა და ფეხსაცმელზე მიბნეულმა უცხო იარლიყებმა: „დამზადებულია დასავლეთ გერმანიაში" (ტანსაცმელი), „დამზადებულია ავსტრიაში" (ქუდი), „დამზადებულია შვეიცარიაში" (თხილამური). ამ გოგონას მარტო სახე ჰქონდა ჩვენებური, დანარჩენით ყველაფრით ნამდვილი უცხოელი იყო. ძლივს ჩავიდა კიბეზე, გარეთ გავიდა, ხუფთა ჭაერი ღრმად ჩაისუნთქა, თხილამურები ახალ „ვოლგასთან" მდგარ ვაჟს გადასცა, მანქანაში ჩაჯდა და მანქანამ იგი კოხტაგორისკენ გააქროლა. მეორე დღეს იგივე სურათის მოწმე რომ გავხდი, გადავწყვიტე ეს გოგონა სარბიელზე მენახა. დილიდან კოხტაგორისკენ ჩემი საბჭოური თხილამურებით გავუდექი გზას. კოხტაგორის ძირში უკვე შეკრებილიყვნენ თხილამურებით სრიალის მოყვარულები. აქაც ისეთივე სურათი ვნახე, რაც მაშინ, დერეფანში. პირდაპირ თვალს მოგჭრიდათ ამდენი ჭრელაჭრულა ტანსაცმელი. სულ მალე იქვე ახლოს „ვოლგა" გაჩერდა და ჩვენი ნაცნობი გოგონა მანქანიდან გადმოვიდა. სახეს ვიცანი, თორემ ამჯერად სხვა ტანსაცმელი ეცვა, უცხოეთის ფირმებს ადგილები შეეცვალათ: ახლა ფეხსაცმელი ავსტრიული იყო, თხილამურები — დასავლეთგერმანული, ქუდი — შვეიცარიული, შარვალი და ქურთუკი — ფინური.

კოხტაგორის ძირში მოკლე დისტანცია ავირჩიე და თხილამურებით სრიალი დავიწყე, თანაც თვალი სულ იმ „ნაცნობი" გოგონასკენ მეჭირა, ყველაზე მეტად მისი ოსტატობა მსურდა მენახა. იგი არც ცდილა კოხტაგორის წვერს მოვლებოდა. იქვე ჩემს ახლოს დაიდო „ბანაკი" და თხილამურებზე დადგა. დადგაო, ვამბობ თორემ ამ საქმეში მას ორი ვაჟკაცი შველოდა. რამდენი ნაბიჯი გადადგა, იმდენჯერ წაიქცა. ვერ იქნა და ფეხზე მდგარი ვერ ვნახე. ასევე სულ თოვლზე იყვნენ გართხმული მისი კოლეგები ჩაცმულობის დარგში.

რაღაც უჩვეულო სანახაობის მოლოდინში ცივი წყალი გადამესხა, შინ დაბრუნება ვარჩიე, რესტორანში სასადილოდ შევედი. აქ უკვე ხალხს მოეყარა თავი. ზოგ მაგიდას ორ-ორი უჯდა, ზოგს სამ-სამი, ოთხ-ოთხი. ერთგან სამი მაგიდა ერთმანეთისთვის მიედგათ. ბოთლების ტუეში ვერ დავთვალე, რამდენი კაცი იჯდა. სახეზე ეტყობოდათ, კარგახნის დამსხდარნი იყვნენ, სადღეგრძელოების კორიანტელი იდგა. ოფიციანტი ღვინისა და შამპანურის მიტანას ვერ აუდიოდა, ისე სწრაფად დარბოდა, იფიქრებდი სულ ახლახან დაუნებებია თავი სპრინტერობისთვის. ჩვენს ოფიციანტს კი არ ჰგავდა, ჩაის მოტანას ერთ საათს რომ უნდებოდა.

სადღეგრძელოები სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებდა. ითქვა მეგობრობის, დედმამიშვილების, მშობლების ცაში ასაყვანი სიტყვები. ფეხზე წამომდგარმა თამადამ მოზრდილი ჭიქა ღვინით გაავსებინა და ჩვენი მიწა-წყლის სადღეგრძელო დაიწყო. რა საოცრად კარგი და საყვარელი ყოფილა ქართული მიწა, მისი სტუმართმოყვარე ხალხი! შეზარხოშებულები, ეტყობა, ერთმანეთს უკვე ველარ ცნობდნენ, რადგან გახშირდა ასეთი დიალოგი:

— კოტე!

— მე კოტე კი არა, თამაზი ვარ!

— ლევან!

— ლევან კი არა, ნუგზარ!

ჯერი სუფრის ბოლო წევრზე რომ მიდგა, მან თამადის სიტყვა კიდევ უფრო გულის ამაჩუყებელი ეპითეტებით შეავსო, უმრავლესობას ცრემლი წასკდა თვალთაგან. მერე ერთმა ოფიციანტი უხამსი სიტყვით ახსენა, მეორემ ვიღაცას შეუტია, მესამემ მეზობელი მაგიდისკენ ღვინით სავსე ბოთლი ისროლა. სულ

### ფელეტონი

ცოტა ხანში ქართული მიწისა და კულტურის უზომოდ „მოყვარულნი" და „დამფასებელნი" ერთმანეთს დაერივნენ. გაისმა მსხვრევისა და მტვრევის ხმა. შესასვლელთან „ვოლგა" გაჩერდა. იქიდან ჩვენი ნაცნობი გოგონა გადმოვიდა, შემოსვლას აპირებდა, რომ მოჩხუბრებმა რესტორანის სარბიელი ალბათ იპატარავეს და მუშტი-კრივის დასამთავრებლად ეზოში გაცვივდნენ, გოგონა კინაღამ ფეხქვეშ გათელეს. ამ უსიამო ამბის მოწმეს მომესმა „იმპორტული" გოგონას სასოწარკვეთილი ხმა:

— ჩვენი ბიჭები არიან! ლევან! თენგიზ! ნუგზარ! კოტე!

ჩვენ გვიყვარს ერთად თავშეყრა, მეგობარსა თუ ჩამოსულ მოკეთეს მუდამ სტუმართმოყვრულად ვხვდებით. მაგრამ ფორმას შინაარსიც შესაფერი უნდა ჰქონდეს. მშობლიური მიწის სიყვარულით თუ მარტო ენა მოიქარგე და მერე ერთმანეთს ბოთლები ურტყი, სუფრასთან ნათქვამი ფეხით გათელე, ვის სჭირდება ასეთი პატრიოტობა?

ბოლო წლებში ბაკურიანი რაღაც გამოფენას დაემსგავსა. უცხო ტანსაცმლისა და ალჭურვილობის მოყვარულნი სპორტულ სარბიელს არც ეკარებიან, უმთავრესად დაბის შარაგზაზე დახეტიალობენ, სასტუმროსა და ტურბაზის დერეფნებში მანეკენებივით დააბიჯებენ და სულწასულ ცნობისმოყვარეთა მზერას ცხვირაბზეკით ხვდებიან.

ამ ბოლო დროს უფროსებს პატარებიც აჰყვნენ:

— დედა, ძია მიშამ საპოროდან „კურტკა" რომ ჩამომიტანა, ის გადმომიგდე! — სასტუმროს ეზოდან მეორე სართულზე შესძახა პატარა ბიჭუნამ და სურვილი მყისვე შეუსრულეს. არა მგონია, ამ ბიჭუნას იაპონური „კურტკით" უკეთ ესრიალა თოვლზე, მაგრამ ისიც მოდას აყოლილი გახლდათ.

ბაკურიანში კი კვლავ ხალხმრავლობაა. კოხტაგორის ფერდობზე ცეროდენა ბიჭები თვითნაკეთი თხილამურებითა და ციგებით გაბედულად დასრიალებენ. ისინი ღიმილს ვერ ფარავენ, როცა უცხოეთის ფირმების ნაწარმის მოყვარულები ორ ნაბიჯსაც ვერ დგამენ ფაფუკ თოვლზე.

ბაკურიანი ახალი მოდის ხაგამოფენო სარბიელი როდია, იგი ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების ერთ-ერთი საუკეთესო კერაა. ამიტომ, მოდით, თუ თოვლზე სრიალის მოყვარული არა ხართ და მხოლოდ უცხოური ტანსაცმლით გინდათ მიიქციოთ ყურადღება, ეგ თქვენი ტანსაცმელი და ალჭურვილობა დერეფნებში და აივნებზე გამოფინეთ, თოვლის ბილიკები კი ზამთრის სპორტის ჭეშმარიტ მოყვარულებს დაუთმეთ, ხოლო ბახუსის მოყვარულებს თბილისსა თუ სხვა ქალაქებშიც საკმაოდ მოეპოვებათ „სამოქმედო ასპარეზი".

**ზ. ჯაფარიძე.**

ლელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟან-კლოდ კილი

## თხილამურებზე კილისთან ერთად

სამი დღის მანძილზე ვიკრებდი ძალას, აუცილებელ ენერგიას ვაგროვებდი. გიგანტური სლალომის ორი ცდა მორალური და ფიზიკური ძალის ხარჯვის მხრივ არ მაფიქრებდა. პირველ ტრასაზე ორი საათი გავატარე, მარშრუტს ვსწავლობდი. ვიმახსოვრებდი კარის მოსაბრუნის კვანძებს, ფერდობების დახრილობას, იმ ადგილებს, სადაც თოვლის საფარი იცვლებოდა. გონების თვალით კარგად წარმოვიდგინე მთელი დაშვება. პირველ ცდაზე ყველას ვაჯობე — 1,20 წამი მოვუგე შვეიცარიელ ფავრს, ორ წამზე მეტი — პერიიას და მოდიუის. ახლა მეორე ცდა ნაკლებ მაღელვებდა. მარტო სასწაულს შეეძლო რაიმე შეეცვალა. ამ ტრასაზე მეორე ვიყავი, სულ 0,08 წამით ჩამოვრჩი ამერიკელ კიდს. მაგრამ ჯამში უპირატესობა გავზარდე, საერთო მეორე ადგილზე მყოფ ფავრს ვაჯობე, და 2,22 და 2,55 წამი მოვუგე მესამე პრიზიორს მესნერს.

იმავე საღამოს გრენობლში მეორე ოქროს მედალი გადმომცეს. მაშინ ყველამ ერთხმად მოიგონა კორტინა დ'ამპეცოს 1956 წლის ოლიმპიადის სამგზის გმირის ტონი ზაილერის რეკორდი. მეც ის გამახსენდა.

სლალომში შესარჩევი სტარტების შემდეგ საკლასიფიკაციო შეჯიბრება იწყებოდა. მაგრამ მერე გეგმა შეიცვალა — ფის-ის კლასიფიკაციით პირველი ჯგუფის ყველა სპორტსმენმა პროტესტი განაცხადა. ამასობაში მიშელ არპენი ინვენტარს ჩაჰკირკიტებდა. სწრაფდაშვებასა და სლალომის ფინალს შორის მან თხუთმეტი წყვილი თხილამური გამოსცადა! მე კი არხეინად ვისვენებდი, მეძინა.

ერთხელ ნასადილევს სახელოსნოში მითხრა:

— ეს სამი წყვილი შეგირჩიე. შენს ადგილზე აი, ამას ავიღებდი.

— კარგი, ეგ იყოს, არ შევამოწმებ. ისედაც ყელში ამომივიდა ყველაფერი.

ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვიქეცი ასე. მიშელს უსაზღვროდ ვენდობოდი.

იმ შაბათს, ზამთრის ოლიმპიადის ბოლოსწინა დღეს, შამრუსი და სლალომის ტრასის ფერდობები ნისლის სქელ საბურველში გაეხვია. პირველ ცდაზე ყველას ვაჯობე, მაგრამ მარაგში მხოლოდ წამის 31 მეასედი მქონდა. ავსტრიელი ალფრედ მატი პირდაპირ კვალში მომდევდა. თანაც, პირველი ათი სპორტსმენი სულ 0,59 წამის ინტერვალით ვიყავით დაშორებული ერთმანეთს!

სტარტის წინ ფეხსაცმელზე ორი სამაგრი გამიწყდა. სახელდახელოდ მარტო ერთის გასწორება მოვახერხე. შემდეგი ტრასის დასათვალიერებლად ჩვენმა მწვრთნელმა რენე სიულპისმა თავისი ფეხსაცმელები მათხოვა. ამასობაში ჩემსას აკეთებდნენ. უნდა გამოვტყდე, ნერვებს ძლივს ვიმორჩილებდი. ტრასაზე ავდიოდი და ირგვლივ ჩამწკრივებული მაყურებლები ერთხმად მომძახოდნენ:

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 28, 29, 31, 33, 34, 36, 44, 48, 51, 55, 58.

— მიდი, კილი, მიდი!

ვერა და ვერ მოვიკრიბე გულისყური. ისევ მწვრთნელებსა და მსაჯებს ვთხოვე შველა. გულშემატკივრები მიმიხვდნენ და გაჩუმდნენ. ასე რომ არა, ტრასას რიგიანად ვერც კი დავიმახსოვრებდი. დაშვებისას ხომ უსათუოდ დავვარდებოდი და ეგ იქნებოდა.

ამ ცდაზე გადავწყვიტე რისკი არ გამეწია. განსაკუთრებით ზედმიწევნით ალეს ხვეული შევისწავლე. მიოენსა და შრანცს მერე სწორედ ამ მონაკვეთისთვის მისცეს დისკვალიფიკაცია.

როცა ავსტრიელი ფინიშთან მივიდა, გამოაცხადეს საუკეთესო დრო აქვსო. ოლიმპიური ჩემპიონიც ის უნდა გამხდარიყო. მაგრამ მე მშვენივრად ვიცნობდი შრანცს. ვაკვირდებოდი, როგორ იქცეოდა. სიხარული უწინდებური მგზნებარებით არ გამოუხატავს. რომ მიულოცეს, შევნიშნე: სახეზე უცნაური ღიმილის მაგვარი გრიმასა შეეყინა. მივხვდი: რაღაც უჭირდა. ცოტა ხანს უნდა მომეთმინა. არ მჯეროდა, რომ ეს მარცხი იყო.

მოგვიანებით დეტალებიც გამოირკვა: შრანცმა მეთვრამეტე კარიც გამოტოვა, მეცხრამეტეც. გამოტოვა და მაშინვე შეჩერდა, განაცხადა, ქვევით ტრასის მსაჯი დგას და იმან შემიშალა ხელიო. მერე ისევ სტარტის ადგილზე დაბრუნდა. მისი პრეტენზია მიიღეს და ხელახალი სტარტის ნება დართეს. აბა, წარმოიდგინეთ, რა უპირატესობა მისცეს ამით! მან უკვე ხუთი თითივით შეისწავლა პირველი ოცი კარი და „ხაფანგი" — ალეს ხვეული ხომ უკვე გავლილი ჰქონდა. რაღა გასაკვირია, რომ ყველას აჯობა. არ დაგავიწყდეთ, მაშინ შრანცს ბოლო ორი წლის მანძილზე სლალომში ერთი დიდი შეჯიბრებაც არ ჰქონდა მოგებული! საერთაშორისო ჟიურიმ დიდხანს ითათბირა და ბოლოს შრანცს დისკვალიფიკაცია მისცა. ასე და ამგვარად, მესამე უმაღლესი ოლიმპიური ტიტული მე დამრჩა.

არ მინდა ჩემი აზრი მოგახვიოთ თავს. ბევრი იქვე ახლომახლო ტრიალებდა და ყველაფერი ჩემზე უკეთ დაინახა. მაგრამ მაინც არ მესიამოვნა, რომ ზოგიერთმა ავსტრიელმა ეს შემთხვევა ხელზე დაიხვია და ცდილობდა ჩემი გამარჯვებისთვის ჩრდილი მიეყენებინა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეგ ამბავი გულთან მაინცდამაინც არ მიმიკარებია — ხომ ვიცოდი, რომ სამივე ოქროს მედალი პატიოსნად მოვიგე.

გრენობლში გადავწყვიტე სეზონის დამთავრებისთანავე სპორტი დამეტოვებინა. წინ იყო ტურნე ამერიკაში — ბოლო ეტაპი მსოფლიო თასის გათამაშებისა. მინდოდა კიდევ ერთხელ, ისე როგორც შარშან, მიმეღო ეს პრიზი. შეერთებულ შტატებში ხუთი ქვეყნის მატჩში სამიდან ორი რბოლა ჩემი იყო. იმ წუთიდან აღარაფერი მქონდა მისაღები სამთოსათხილამურო სპორტისგან. მე მოვიგე ყველაფერი, რისი მოგებაც კი შესაძლებელია, გავიმარჯვე ყველა დიდ „კლასიკურ" შეჯიბრებაში, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი და სამი ოქროს ოლიმპიური მედალიც მოვიპოვე. რაღა დარჩა, განა ღირდა გაგრძელება?

1968 წელი. გრენობლი. ოლიმპიურ სწრაფდაშვებაში გამარჯვებულნი. მარცხნივ — გი პერიია, მარჯვნივ — ჟან დეტვილერი.

მაგრამ მაინც რა ძნელი ყოფილა განშორება იმასთან, რასაც ჩემი ცხოვრების ყველაზე მშვენიერი ათი წელიწადი შევწირე! ჩემს მშობლებს ბერჟერიში სასტუმრო ჰქონდათ. ნოემბერში მათთან ვიყავი და გული ჩამწყდა, ვალ დ'იზერში შეკრებაზე ჩასული გუნდის ამხანაგებს რომ შევხვდი. კინაღამ წამძლია სულმა, კინაღამ ისევ დავუბრუნდი სარბიელს. ძლივს დავძლიე ცდუნება. მაგრამ ვიცოდი, განშორება ზამთრის სეზონის დაწყების მერე უფრო მწარე იქნებოდა.

მე სულ სხვა გზა ავირჩიე. გამოვიტყდებით, პირველ სამ თვეს ყოყმანი მტანჯავდა, აღარ ვიცოდი, რისთვის მომეკიდა ხელი.

სამი ოლიმპიური ოქროს მედლის პატრონს ცხოვრებაში არაფერი უნდა გამჭირვებოდა. გინდაც ჯადოსნური ჯოხი მჯეროდა ხელთ. მაგრამ ვიცოდი, რომ სანუკვარ მიზნამდე მხოლოდ შრომა მიმიყვანდა. და, როგორც კი შესაფერი შემთხვევა მომეცა, ხელიდან არ გამიშვია. ამერიკაში დიდებული კონტრაქტები შემომთავაზეს, ბევრად უფრო ხელსაყრელი, ვიდრე საფრანგეთში. მეც დავთანხმდი. მართალია, მას შემდეგ სამუშაო მაინცდამაინც ბევრი არ მქონდა. უფრო მეტად სხვადასხვა რეკლამაში მონაწილეობა მევალებოდა. მაგალითად, „ჯენერალ მოტორსის" სარეკლამო ფილმებში მიღებდნენ.

1968 წლის ივლისში მე და ჩემმა მეგობარმა ლეო ლაკრუამ მსოფლიოს სამთოსათხილამურო ცენტრებზე მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება დავიწყეთ. ცამეტი სიუჟეტი უნდა გადაგვეღო ერთი გავლენიანი ამერიკული სატელევიზიო კომპანიისთვის. ფილმების საერთო ხანგრძლივობა ნახევარი საათი იყო. თან მამაკაცის ტუალეტის საგნებს ვუწევდი რეკლამას.

მერე ამერიკის ყველაზე დიდ სათხილამურო ფაბრიკანტთან ტექნიკური მრჩევლის ადგილი შემომთავაზეს. ჩემი თხოვნით მიშელ არპენიც მიიწვიეს. მე და მიშელმა მინისა და ბოჭკოს თხილამურის მოდელი უნდა დაგვემზადებინა. რამდენიმე თვეში ამ თხილამურებს ბაზარზე გაიტანენ. ამას გარდა პლასტმასის სათხილამურო ფეხსაცმლის ფირმაშიც ვთანამშრომლობ.

მაგრამ მე სულაც არ ვაპირებდი შეერთებულ შტატებში დიდი ხნით დარჩენას, თუმცა ამერიკელთა ცხოვრების ყაიდა რაღაცით მუდამ მიზიდავდა. ისევ მშობლიური ალპებისკენ მიმიწევდა გული. სიამოვნებით დავთანხმდი დაის მომავალი სამთოსათხილამურო ცენტრის ხელმძღვანელობაზე, რომლის მშენებლობაც იმ ხანებში დაიწყო ვალ დ'იზერის გვერდით. ადგილიც შევიგულე სახლისთვის — იმ ფერდობების მახლობლად, სადაც თხილამურებით სრიალი ვისწავლე.

ხელშეკრულების დადებისას ვფრთხილობდი, რომ მერე ბიზნესის რუტინას მთლიანად არ ჩავეთრიე. წინასწარ შევთანხმდით, რომ შეერთებულ შტატებში ზედიზედ სამ კვირაზე დიდხანს დარჩენა სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო. მე მუდამ გამიწევს გული ისევ ვალ დ'იზერისკენ, ერთი კვირით მაინც, ისევ მომენატრება ჩემი პატარა სოფლის ცხოვრება, მშობლებისა და ახლობლების დანახვა...

ფული ჩეჩქივით მაქვს — მე არ ვმალავ ამას. სამარცხვინოს ამაში ვერაფერს ვხედავ. ამერიკულ ავანტიურაში ისევე თამამად გადავეშვი, როგორც ერთ დროს სამთოსათხილამურო სპორტში. მაგრამ იმდენად ბრიყვი როდი ვარ, ამ სისტემას თავი დავამონებინო. ფულის მოხვეჭა ჩემთვის მთავარი მიზანი არ არის. ისე, მინდა ვისარგებლო ცხოვრებისგან ნაბოძები შემთხვევით და სანუკვარი ოცნება ავიხდინო — სარბოლო მანქანის საჭეს მივუჯდე. მერე შეჯიბრებაში გამოვალ, რომ კონსტრუქციებში მსოფლიო პირველობისთვის ჩათვლა მივიღო.

სულაც არ მინდა პროფესიული მრბოლელი გავხდე. მუდამ მოყვარული დავრჩები. მანქანა თხილამურებივით ბავშვობიდან მიყვარდა. ოღონდ ეგ იყო, აქამდე მისთვის დრო არ მრჩებოდა. მარტო ერთხელ, სეზონის ბოლოს მოვახერხე და ორჯერ გამოვედი ავტორალიში.

1967 წელს უდიდესი სიხარული

მე მოვიგე ყველაფერი, რისი მოგებაც კი შესაძლებელია... ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი და სამი ოქროს ოლიმპიური მედალიც მოვიპოვე. რაღა დარჩა, განა ღირდა გაგრძელება?

● ●

განვიცადე პალერმოში ტარგა ფლორიოს რბოლის დროს. მე და ჩემმა მეგობარმა ბერნარ კაიემ პირველი ადგილი დავიკავეთ შვიდასვირაჟიან სამოცდაათკილომეტრიან წრიულ ტრასაზე სპორტული მანქანების კლასში. წლისთავზე მეორედ ვცადე ბედი — მონზეს რბოლაში ჟან გიშეს ეკიპაჟში ვიყავი, რომელმაც მანსის ოცდაოთხსაათიანი რბოლა მოიგო. იმ დაუვიწყარ ოთხ დღეში გიშემ ბევრი რამ მასწავლა. საბოლოო ჯამში ჩვენი კლასის მანქანებს შორის მეორე ადგილი დავიკავეთ, შემდეგ ისევ გიშესთან ერთად ნიურბურგრინგის (დასავლეთ გერმანია) რბოლაში ჩავები, ევროპის ერთ-ერთ ურთულეს ტრასაზე. მერე მანსის ოცდაოთხსაათიან რბოლაში ვაპირებდი მონაწილეობას, მაგრამ ავსტრალიაში სათხილამურო სპორტზე ფილმის გადაღებამ შემიშალა ხელი.

ჩემთვის სულ ერთია, მოყვარული ვიქნები თუ მუყაითი შეგირდი დიდი ჩემპიონებისა, რომელთა ნიჭითაც მუდამ აღტაცებული ვიყავი. ამას ალბათ მხოლოდ ის გამიგებს, ვისაც საავტომობილო რბოლის დამათრობელი სიხარული თავად ერთხელ მაინც გამოუცდია.

მშვენივრად ვიცი, რამდენად სახიფათოა ეს ნაბიჯი. ჩემი ორი კარგი ნაცნობი ბოლიდების საჭესთან დაიღუპა. ეს იყო ჟან როლანი, დიდებული ბიჭი, სპორტსმენი—მონტლერის 100-კილომეტრიან ტრასაზე დაიმტვრა მანქანის გამოცდისას; ეს იყო საოცარი ადამიანი ჯო შლესერი — რუანში საფრანგეთის დიდ პრიზზე რბოლის დროს საშინელ კატასტროფაში მოჰყვა. სპორტული ცხოვრების ათი ბობოქარი წლის შემდეგ ერთ დღესაც არ მინდა თავი ცოცხალი ბრძოლისა და რისკის გარეშე. ოცდახუთი წლისას ისევ ძველებურად მწყურია თამაში, თამაში და მაინც თამაში.

თარგმნა ც. ღოღობერიძემ.

**შენიშვნა:** ამით მთავრდება ჟანკლოდ კილის წიგნის პირველი ნაწილი „გზად დიდ სპორტში". მეორე ნაწილი — „გირჩევთ..." — მეთოდური ხასიათისაა და მას წიგნის ცალკე ქართულ გამოცემაში გაეცნობით.

# ბრძოლა დამთავრდა

**თბილისი, ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. საქართველოს პირველობა ასუჭრიან შაშში. XIII ტური.** ა. კონჯარია (ფოთი) — ნ. ძამუნაშვილი 0,5-0,5, შ. ბოთერაშვილი (ორივე — თბილისი) — ე. რომანოვი (სოხუმი) 0,5:0,5, ვ. ინწკირველი — პ. ყაჭეიშვილი 1:0, ვ. ბახტაძე (სამივე — თბილისი)— რ. რეხვიაშვილი (რუსთავი) 0,5:0,5, ნ. ხუციშვილი — გ. ამირხანოვი (ორივე — თბილისი) 0:1, დ. თევდორაძე (ბათუმი) — ს. თომაშვილი (თბილისი) 0:1, ზ. ხოფერია (ფოთი) — პ. კუჩეროვი (თბილისი) 0,5:0,5.

პირველობა დამთავრდა. გთავაზობთ შედეგებს: I. ბახტაძე — 10,5 ქულა, II. თომაშვილი, III. რომანოვი, IV. ამირხანოვი — 9-9 (ეს მოშაშეები ადგილებს აღნიშნული თანმიმდევრობით ერთმანეთთან შეხვედრების შედეგების მიხედვით გაინაწილებენ). შემდეგ მოდიან: ხუციშვილი, ინწკირველი, ხოფერია—7-7, ძამუნაშვილი, ბოთერაშვილი—6,5-6,5, კონჯარია—5, რეხვიაშვილი—4, კუჩეროვი, თევდორაძე—3,5-3,5, ყაჭეიშვილი—3.

პირველობის მთავარი მსაჯის მოადგილემ, სპორტის ოსტატმა **ს. პახლაჯიანმა** გვიამბო:

— ბრძოლა საინტერესო იყო. გაიმარჯვა ჭეშმარიტად უძლიერესმა — ინჟინერმა ბახტაძემ. ეს ჩემთვის, როგორც მისი მწვრთნელისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა.

ბახტაძე და თომაშვილი საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებენ. აღსანიშნავია თომაშვილის შესანიშნავი ფინიში: ხუთი ქულა ექვს შეხვედრაში! მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამირხანოვთან მოგებას.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მონაწილეებმა მონდომებით, უშეღავათოდ იბრძოლეს. რა თქმა უნდა, პირველობას მეტი სილამაზე ექნებოდა, ოსტატებს და ნახევარფინალში გამარჯვებულ მოშაშეებსაც რომ ეთამაშათ.

**თ. ნინოშვილი.**

შაში

# დამსახურებული ჯილდო

ბათუმის ნაკრებ გუნდს ბევრჯერ უსახელებია თავი წყალსამოტორო სპორტში საქართველოს პირველობათა სარბიელზე. ამ წარმატებაში მუდამ დიდი დამსახურება მიუძღოდა სპორტის ოსტატს ვალერი კალფას. იგი საკავშირო პირველობებშიც იცავდა საქართველოს ნაკრების ღირსებას და გუნდს ჩასათვლელ ქულებს აძლევდა.

ვალერი კალფა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ნიჩბოსნადაც ითვლებოდა — რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი იყო. ბავშვობაში თბომავალ „პიონერის“ კაპიტანი, ბათუმის პიონერთა პარკის ტბაზე რომ ჰქონდა ასპარეზი გადაშლილი, აფროსანთა და წყალსამოტორო სპორტის ოსტატთა ერთ-ერთ ღირსეულ მეტოქედ იქცა.

მაგრამ ვალერი კალფა ამას არ დასჯერდა. ბათუმის დოსააფის საზღვაო კლუბის საწყლოსნო სადგურის უფროსმა, კარგმა სპორტსმენმა უსასყიდლოდ დაიწყო ჭაბუკთა, ქალთა და ვაჟთა გუნდების მზადება საზღვაო მრავალჭიდში. თან არც წყალსამოტორო სპორტისთვის დაუნებებია თავი.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. შარშან გუნდმა I ადგილი დაიკავა რესპუბლიკურ პირველობაში — თბილისისა და აფხაზეთის კოლექტივებს გაუსწრო. ლ. ბორისმა და ლ. ბარიშენსკაიამ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ეს მწვრთნელის დამსახურებაც იყო.

**ვალერი კალფა საზღვრის ორი დამრღვევის შეპყრობის დროს გამოჩენილი სიფხიზლისა და გონიერებისთვის დაჯილდოვდა მედლით.**

ამ სასიხარულო ცნობამ დოსააფის ყველა სპორტსმენი ალაფრთოვანა. როცა მედალი, მოწმობა და ფულადი პრემია საზეიმოდ გადასცეს, ვალერი კალფამ ამაყად წარმოთქვა: „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“

მ. ეგანოვი.

ბათუმი.

თქვენ ალბათ ხშირად გსმენიათ არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის საუკეთესო ჩოგბურთელის ელ შაფეის სახელი. მისი მეტოქე არაერთხელ ყოფილა თბილისელი ა. მეტრეველი. ახლა შესაძლებლობა მოგვეცა ეგვიპტელის (დგას) სურათიც დავბეჭდოთ. მეორე ჩოგბურთელი ჩეხოსლოვაკიელი ფ. პალაა. სპორტსმენები თამაშის წინ ბადის სიმაღლეს ამოწმებენ. სურათი გადაღებულია კიოლნში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების დროს.

ჟურნალი „შტარტი“ (სლოვაკია).

მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტს ევერი ბრენდეჯს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ოლიმპიურ კომიტეტს. მიუნჰენის ოლიმპიადის დღეებში მისი ადგილი დაიკავა ირლანდიელმა კილანინმა. 80 წელს გადაცილებულმა საპატიო პრეზიდენტმა სამოქმედო ასპარეზი თავისზე ახალგაზრდას დაუთმო, თვითონ კი, როგორც ხედავთ, ფრანკფურტში გამართულ სპორტსმენთა მეჯლისზე ცეკვით ერთობა.

სპორტსმენთა მეჯლისში, ცხადია, თვით სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, მარცხენა სურათზე აღბეჭდილი არიან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ო. კორბუტი (მარცხნივ) და ლ. ბოგდანოვა. მათ ამჯერად ტანვარჯიშული ფორმა სამეჯლისო ტანსაცმლით შეუცვლიათ.

ჟურნალი „შტარტი“ (სლოვაკია).

## თასები, თასები

### ინგლისი

როგორც ვიტყობინებოდით, ეროვნული თასის მეოთხედფინალურმა შეხვედრამ „ჩელსი“—„არსენალის“ წყვილში გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 2:2. რამდენიმე დღის წინ ლონდონის 68-ათასიან „ჰაიბურის“ სტადიონზე შედგა განმეორებითი მატჩი. მინიმალური უპირატესობით (2:1) გაიმარჯვა „არსენალმა“, რომელიც ნახევარფინალში „სანდერლენდს“ შეხვდება.

ცნობილია მეორე ნახევარფინალური წყვილის ვინაობაც: „ლიდს იუნაიტედი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“. ორივე შეხვედრა 7 აპრილს გაიმართება.

### შოტლანდია

მოეწყო თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის მონაწილე გუნდების კენჭისყრა: პირველი მეოთხედფინალური მატჩი გლაზგოს „სელტიკსა“ და „აბერდინს“ შორის ფრედ დამთავრდა და ამიტომ ერთი ნახევარფინალისტი ჯერჯერობით უცნობია. აქ გამარჯვებული „დანდის“ შეხვდება. მეორე ნახევარფინალური წყვილია „გლაზგო რეინჯერსი“ — „ეირ იუნაიტედი“.

## ხმების უმეტესობა — დი სტეფანოს

ზაგრების გაზეთმა „სპორტსკა ნოვოსტიმ“ შეკითხვით მიმართა ბევრ ცნობილ სპეციალისტს: „ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს № 1 ფეხბურთელად უკანასკნელი 30 წლის მანძილზე?“.

აი, ზოგიერთი პასუხიც: კუბალა (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი) — ბიკანი (ჩეხოსლოვაკია), შიონი (გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი) — დი სტეფანო, ჰენტო (ესპანეთი) — დი სტეფანო, ელ. ერერა — დი სტეფანო, რამსეი (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი) — პელე, ლაკატი (უნგრეთის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი) — პუშკაში, პეაცა (40-ანი წლების გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი) — პელე, ბობეკი (ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი) — პუშკაში, მილიანიჩი, (ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი) — დი სტეფანო, რიერა (ცნობილი ჩილიელი სპეციალისტი) — პელე.

ანკეტა შეავსეს დი სტეფანომ და პელემაც. დი სტეფანომ № 1 ფეხბურთელად დაასახელა მისი ახალგაზრდობის დროის „რივერ პლატას“ თავდამსხმელი ხოსე მორენო, ხოლო პელემ — ერმინდო (ბრაზილია). როგორც მორენო, ისე ერმინდოც ნაკლებად არიან ცნობილი ევროპაში.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „ბენფიკას“ ტრიუმფის მიუხედავად...

როგორც ცნობილია, „ბენფიკას“ ბოლო ორი სეზონის მანძილზე სათავეში უდგას ინგლისელი სპეციალისტი ჯიმი ჰეგანი, რომელიც თავის დროზე ინგლისის ნაკრებში თამაშობდა. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მისი ხელმძღვანელობით „ბენფიკა“ ისევ გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი. ექსპანსიური პორტუგალიელები უფრო შორსაც მიდიან და ამბობენ, რომ ახლა „ბენფიკას“ საერთოდ არა ჰყავს ბადალი.

როგორ გაოცდნენ „ბენფიკას“ გულშემატკივრები როცა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ჰეგანის საუბარი ერთ-ერთ ინგლისელ ჟურნალისტთან. ჟურნალისტის შეკითხვებს შორის ერთი ასეთიც იყო: „იმ გუნდებში, რომლებთანაც თქვენ მუშაობდით, რომელი მიგაჩნიათ უძლიერესად?“.

პასუხი თითქოს ცხადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჰეგანმა სრულიად მოულოდნელად თქვა: „პიტერსბორო“, ინგლისის მეოთხე ლიგის გუნდი, რომელსაც 1960-61 წლების სეზონში ვწვრთნიდი, წლეულს კი თავის ლიგაში პირველ ადგილზე გავიდა. იმის თქმა როდი მინდა, რომ „პიტერსბორო“ დაამარცხებდა „ბენფიკას“, მაგრამ მას თავისი ღირსებები ჰქონდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მოთამაშეს ჩემი რაიმე მითითება არ შეესრულებინოს. ერთი სიტყვით, გუნდში პირდაპირ იდეალური სათამაშო დისციპლინა იყო, რაც წარმატების საწინდარია“.

„ბენფიკას“ გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან.

### ყველაზე ძვირადღირებული დუბლიორი

საფრანგეთის პირველ „დივიზიონში“ მოქმედი კანონებით, გუნდს ეროვნული ჩემპიონატის მატჩში ორზე მეტი უცხოელის გამოყვანა არ შეუძლია. ამ კანონმა, რომელიც დიდი ხანი არაა ძალაში შევიდა, ყველაზე მეტად საფრანგეთის უმდიდრესი კლუბი — მარსელის „ოლიმპიკი“ დააზარალა. საქმე ისაა, რომ წამყვან ფეხბურთელად აქ კარგა ხანია ითვლება იუგოსლაველი სკობლარი, ხოლო წლეულს „ოლიმპიკში“ ჩაირიცხა პირველხარისხოვანი ზანგი ფეხბურთელი კეიტა. ეს ნიშნავს, რომ „თამაშგარე მდგომარეობაში“ ავტომატურად აღმოჩნდა შვედი გარემარბი მაგნუსონი, რომელიც თითქმის აღარ გამოდის მინდორზე.

ამის მიუხედავად, მაგნუსონი კარგ ჯამაგირს იღებს და „ოლიმპიკი“ არც აპირებს გამოეთხოვოს მას. ან რად უნდა მისცეს მეტოქეებს ასეთი ბასრი იარაღი?

### ზამბატა ზაგრებს დაუბრუნდა

ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი ზამბატა, რომელიც წლების განმავლობაში იუგოსლავიის ნაკრებში თამაშობდა და შემდეგ ბელგიაში გადავიდა, ახლა თავის კლუბს — ზაგრების „დინამოს“ დაუბრუნდა. „დინამოს“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზამბატა საგრძნობლად შეუწყობს ხელს კლუბს, რომლის თამაში ბოლო დროს აშკარად გაუფერულდა.

## მხიარული ფანქრით



პირველი გეიმი ცოლის სასარგებლოდ...

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

მძლეოსნური კროსი. თბილისის პირველობა „პრავდის პრიზზე“. 1 აპრილი. კუს ტბის მიდამოები. მონაწილეობენ რაიონების ნაკრები გუნდები. დასაწყისი 11 საათზე.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება—99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო—93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11351